



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის
2015 წლის ანგარიში



საფინანსო
ანალიტიკური
სამსახური

თბილისი, 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	2
1. შესავალი	2
2. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS).....	2
2.1. eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა.....	3
2.2. eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა	4
2.3. eDMS – სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა	7
2.4. eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა	8
3. სხვა ავტომატიზებული სისტემების შექმნა-განვითარება-დანერგვის სამუშაოები...	9
3.1. eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა.....	9
3.2. EIMS - გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა	9
3.3. eGMC - საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა	11
3.4. eVMS - ვიზიტორთა მართვის ელექტრონული სისტემა	12
3.5. eAuction - ელექტრონული აუქციონი.....	12
3.6. ATMS - ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დავალებების მართვის სისტემა	14
3.7. eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა	14
4. პორტალები, ვებგვერდები	14
5. საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	17
6. ინფორმაციული უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა 18	
7. სწავლება და კონსულტაციები.....	19
8. ადამიანური რესურსების განვითარება	19

ანგარიში დასახული სტრატეგიის ფარგლებში 2015 წელს განხორციელებული ღონისძიებებისა და პროგრამების შესრულების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

1. შესავალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს¹ სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური² (შემდგომში - სამსახური) აგრძელებს ქვეყნის საფინანსო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებასა და მისი მდგრადობის უზრუნველყოფაზე მუშაობას და ავითარებს საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემას³. ამასთან ერთად, უზრუნველყოფილია საქმისწარმოების (დოკუმენტბრუნვის მენეჯმენტის⁴) ავტომატიზებული სისტემის, ადამიანური რესურსების⁵, მერქნული რესურსების მართვის⁶ და სხვა პროგრამული სისტემების სრულყოფა. ვითარდება სამინისტროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და შესაბამისი ICT⁷-ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ასობით მომხმარებელი სახელმწიფო ორგანიზაციის დღიური 9,8 მილიონი ტრანზაქციისა და დღიური 1.2 მილიონი ბუღალტრული გატარების ტექნიკურ მხარდაჭერას. ხორციელდება ახალი ელექტრონული სერვისების დაპროექტება, ტესტირება და იმპლემენტაცია, ვითარდება ე.წ. „ელექტრონული მმართველობის“⁸ კომპონენტები. ეს საქმიანობა ხელს უწყობს ქვეყნის საფინანსო სისტემის მოდერნიზებას, აგრეთვე, ზოგადად გამჭვირვალე და ეფექტიანი მმართველობის⁹ განვითარებას.

2. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS)

სისტემა შედგება 4 მძლავრი ელექტრონული კომპონენტისგან. სისტემის ძირითადი დანიშნულებაა საჯარო ფინანსების მართვის ყველა მოვლენის ზუსტი, დროული, სრულყოფილი, საიმედო, თანმიმდევრული და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის აღრიცხვა, ფინანსური ტრანზაქციების ღირებულების შემცირება, მენეჯმენტის დროული უზრუნველყოფა შესაბამისი რეპორტებით და სხვა.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი დამატებითი სტატისტიკური მონაცემი PFMS შემადგენელი ელექტრონული სისტემების მომხმარებელთა შესახებ:

¹ <http://www.mof.ge/>

² <http://www.fas.ge/>

³ <http://www.fas.ge/Mission>, <http://www.fas.ge/Strategy>

⁴ Document Flow, Document Management, Task Management systems

⁵ Human Resources Management System - eHRMS

⁶ <https://portal.anr.ge/#/MainPage>

⁷ Information and Communication Technologies

⁸ Electronic Governance - E-Governance

⁹ http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=794&lang_id=GEO

სახელმწიფო ხაზინის კომპონენტში: ორგანიზაციათა რაოდენობა (განმკარგავები) – 438; მომხმარებელთა რაოდენობა - 1774 [1565 (სახელმწიფო ხაზინა - ცენტრალური ოფისი) + 79 (აფხაზეთის ა/რ) + 130 (აჭარის ა/რ)].

ბიუჯეტის კომპონენტში: მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა - 81 [53 (სახელმწიფო ბიუჯეტი) + 19 (აფხაზეთის ა/რ) + 9 (აჭარის ა/რ)]; მომხმარებელთა რაოდენობა - 229 [206 (სახელმწიფო ბიუჯეტი) + 9 (აფხაზეთის ა/რ) + 14 (აჭარის ა/რ)].

2.1. eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა

2015 წლის 5 იანვარს განხორციელდა რეფორმა, რომელის მეშვეობითაც სსიპებს, ააიპებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს, სისტემის გამოყენებით, საკუთარი ბიუჯეტების დაგეგმვისა და შემდგომი დაზუსტებების საშუალება მიეცათ.

სისტემას დაემატა ორი ახალი ფუნქციონალი:

(1) ხარჯთაღრიცხვის ცნობების დამტკიცების დელეგირება - ფუნქციონალის მეშვეობით სსიპების წარმომადგენლები თავად ახერხებენ საკუთარი მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული საკუთარი სახსრების წყაროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების დამტკიცებას.

(2) სამიზნე ბიუჯეტის გატანა აქტის ქვედეტალებში - ფუნქციონალის მეშვეობით სხვა დონის ბიუჯეტებისთვის გამოყოფილი ტრანსფერების დაგეგმვის ეტაპზე შესაძლებელი გახდა ნორმატიული აქტიდან სხვადასხვა სამიზნე ბიუჯეტისთვის გამიზნული თანხების ერთი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით დაგეგმვა, რისთვისაც ფუნქციონალის დამატებამდე მრავალი ცნობის გაკეთება იყო აუცილებელი.

ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

შეიცვალა შრომის ანაზღაურების დაგეგმვის ფუნქციონალი, რის შედეგადაც სხვადასხვა დაფინანსების წყაროში დაგეგმილი მომუშავეთა რიცხოვნობის გამიჯნულად აღრიცხვა გახდა შესაძლებელი. ასევე, დანამატიდან გამოყოფილ წელთა ნამსახურევის დანამატი, რომლის შევსებაც ცვლილებების შემდეგ თანამდებობების მიხედვით განხორციელდება. ამ ცვლილებებთან ერთად, გადაკეთდა თავად ანაზღაურების ფორმა და შეიცვალა ველების შემადგენლობაც.

დაიხვეწა სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესრულების ანგარიშგება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შემოსულობებისა და ნაშთების ფაქტობრივი მონაცემების იმპორტი eTreasury სისტემიდან.

ჩატარდა სამი იტერაცია, რომლის ფარგლებშიც გასწორდა რეფორმის ეტაპზე დაგროვილი ხარვეზების 80% (150-ზე მეტი მაღალი და საშუალო პრიორიტეტის ხარვეზი).

ჩატარდა კანონში ცვლილების შესაბამისი სამუშაოები როგორც სატესტო, ასევე რეალურ გარემოში. ამ ცვლილებების ფარგლებში, სისტემას დაემატა სამი ახალი მხარჯავი დაწესებულება.

რეფორმის ფარგლებში, სისტემაში ჩართული ბიუჯეტების რაოდენობის მკვეთრი ზრდის შედეგად შენელებული რიგი ოპერაციების (ფაილების კოპირება, ფორმებისა და ანგარიშგებათა დოკუმენტების ჩატვირთვა, ცნობების დამტკიცება და სხვა) აჩქარების მიზნით, ჩატარდა ტექნიკური ოპტიმიზაციის სამუშაოები. შედეგად სისტემის მუშაობა ყველა იმ წერტილში, რომელთა ოპტიმიზაციაც იგეგმებოდა, საგრძნობლად აჩქარდა.

შეიცვალა მომუშავეთა რიცხოვნების ასახვის ლოგიკა სხვადასხვა ანგარიშგებასა და ფორმაზე.

გადაკეთდა ხაზინიდან შემოსულობების შესაბამისი შესრულების მონაცემების იმპორტის ფუნქციონალი.

პროგრამული ბიუჯეტის ფორმაში ინდიკატორის შესაყვანი ერთი ველის მაგივრად ჩაემატა ცხრილი და შესაბამისად შეიცვალა ის ანგარიშგების დოკუმენტებიც, რომლებიც იყენებდა შუალედურ და საბოლოო ინდიკატორებს.

სპეციალური უფლების გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია მიზნობრივი გრანტის ცნობაში ხაზინის ჩამორიცხვებთან და კონვერტაციებთან კონტროლის გათიშვა. ამის მიზეზი გახდა ხაზინის სისტემაში მიზნობრივი გრანტის პირდაპირი ჩარიცხვების რეგისტრაციის საჭიროება.

მოთხოვნილი ანგარიშგების დოკუმენტის სპეციფიკა დინამიური ანგარიშგებების ფუნქციონალის შესაძლებლობებს ცდება, ამიტომ საჭირო გახდა მისი შესაბამისი სტატკური ანგარიშგების დოკუმენტის შემუშავება.

შემუშავდა განაცხადში და დინამიურ ანგარიშგებებში ხაზინის ტრანსფერების ასახვის ფუნქციონალი.

შესრულდა ნოემბრის თვეში განხორციელებული კანონში ცვლილების მხარდაჭერისა და გასულ სამუშაო პერიოდებში ღონისძიებების მიგრაციასთან დაკავშირებული სამუშაოები.

შემუშავდა ნორმატიული აქტების რეესტრში წინა წლებში გამოსული აქტების ფარგლებში სახარჯი ნაშთების გამოთვლისა და ახალ სამუშაო პერიოდში მათი გადატანის, ნორმატიულ აქტში სამიზნე ბიუჯეტებისთვის გეგმის რესურსის გამინუსების და აქტში რესურსის აღმდგენი ცნობების ვალიდაციის გარეშე გატარებისა და ბიუჯეტის დაზუსტების ფაზის ძირითადი სცენარების ავტომატური რეგრესტესტირების ფუნქციონალები.

ჩატარდა სისტემის წარმადობისა და რიგი ოპერაციების შესრულების ხანგრძლივობის გასაუმჯობესებელი ტექნიკური სამუშაოები, რის ფარგლებშიც აჩქარდა წლიურ და კვარტალურ ფაილებზე მოქმედი ოპერაციები, ხოლო დინამიურ ანგარიშგებათა გენერირების დრო შემცირდა ოთხჯერ.

2.2. eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

სისტემის ბექ-ოფისის მულტისავალუტო მოდულის ფარგლებში მოხდა ცვლილება ოპერაცია „გარედან ვალუტაზე“ და „უკუკონვერტაციაზე“. შეიცვალა „სსიპ-ის თანხის

დაბრუნების“ ოპერაცია და ათნიშნა ანგარიშებზე რესურსების ზრდა/კლების ლოგიკა ოპერაციის ტიპების მიხედვით.

სისტემას დაემატა ანგარიშზე თანხის დაბლოკვა/განბლოკვის სქემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ანგარიშზე ხელმისაწვდომი რესურსისა და ბალანსის დადგენა ახალი ლოგიკით.

მხარჯავების პორტალს დაემატა ახალი მონიშვნის ფუნქციონალი, რომელიც გულისხმობს ერთ გვერდზე ჩატვირთული დოკუმენტების მონიშვნას და, შესაბამისად, მონიშნულებზე გარკვეული ოპერაციების განხორციელებას.

სისტემის შუალედურ შრესა და ბექ-ოფისს დაემატა შემდეგი ახალი ანგარიშგებები: „პერიოდებს შორის გეგმისა და ფაქტის შედარება (ადგილობრივებისთვის)“, „პერიოდებს შორის გეგმისა და ფაქტის შედარება (ავტონომიურებისთვის)“, „პერიოდს შიგნით გეგმის და ფაქტების შედარება“, „ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელები“, „გასანადღებელი ხარჯები“ და სხვა.

სისტემის მხარჯავების პორტალზე არსებულ ზოგიერთ ანგარიშგებას, ასევე ბექ-ოფისის საოპერაციოს ჩანართზე არსებულ ფილტრებს დაემატა ახალი ფილტრი „დაფარვის წყარო“.

ხელფასების მოდულს დაემატა ფაილის ატვირთვით შვებულების ანაზღაურების ფუნქციონალი.

საფინანსო უწყების პორტალზე შეიცვალა დავალებების ძებნის გვერდზე მონაცემების ფილტრაციის ლოგიკა.

ბექ-ოფისს დაემატა რესურსების კონტროლის, ფულის კონტროლის, გადასახდელების ფუნქციონალური შესრულების, ნორმატივების გატარებების, CPV-ების და სხვა ახალი ანგარიშგებები და ახალი ფილტრები. შეიცვალა არსებული ფილტრების მუშაობის პრინციპი. CPV-ების ანგარიშგებები დაემატა მხარჯავების პორტალზეც. საფინანსო უწყებისა და მხარჯავების პორტალის ზოგიერთ ანგარიშგებაში, ასევე საიდუმლო მოთხოვნების შესაბამის საგადახდო დავალებაში შეიცვალა ველების გენერირების ლოგიკა.

ბექ-ოფისში დაემატა ახალი ოპერაცია, „დღგ-ს დაბრუნება“. ასევე, განხორციელდა არსებული ოპერაციის „გადასახადის გადატანა სახიდან სახეში“ მოდიფიცირება.

ბექ-ოფისში მულტისავალუტო ტაბიდან კონვერტაციის ჩამოწერის პროცესს დაემატა ახალი ვალიდაცია. ამავე მოდულში განხორციელდა რესურსის კონტროლისა და ტრანსფერის გადმორიცხვის ვალიდაციების ცვლილება. მხარჯავის პორტალის დეპოზიტის ოპერაციებს დაემატა ახალი ვალიდაცია.

სისტემას დაემატა თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი გრანტების ფარგლებში, ნორმატიული აქტის შესაბამისად, ღონისძიებების დაფინანსების სქემაში, ვალდებულებაზე (განაცხადზე) დეტალების ფაილით და მოთხოვნების პაკეტურად ატვირთვის ახალი ფუნქციონალი.

შესაძლებელი გახდა საინკასო სქემის პროცესის გამოყენება სსიპ-ებსა და რაიონებზე; ცვლილებები შევიდა ანგარიშებთან დაკავშირებულ ოპერაციებში.

განხორციელდა სისტემის შემდეგი მოდულების ტექნიკური რეფაქტორინგი: ხელშეკრულებები, ვალდებულებები, მოთხოვნები, CPV დაზუსტებები, პაკეტური დამოწმებები, თანამშრომლები, პაკეტები, პირველადი დოკუმენტი, ოპერაციები დეპოზიტებზე, წინა წლის ნაშთები, დამოუკიდებელი მოდული, მთავარი წიგნი, ალტერნატიული მთავარი წიგნი და სხვა.

ოპერაციებს „გარედან ვალუტაზე“ და „გარედან მ.გ.“-ს დაემატა რედაქტირების ფუნქციონალი. ასევე, ამავე ჩანართზე განხორციელდა კონვერტაციის ავტომატიზაცია საინვესტიციო პროექტების ფარგლებში.

განხორციელდა ინტეგრაციები SWIFT სისტემისა და ხაზინის სისტემის უცხოური ვალუტის ჩარიცხვების კუთხით და შესყიდვების სისტემასთან სსიპ-ების მიერ ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადარიცხვების პროცესირების მხარდასაჭერად.

შესაძლებელი გახდა მხარჯავების პორტალზე არსებულ ჩანართზე „სსიპ“ ვალუტის გადარიცხვა და RTGS სისტემის მიერ უარყოფილი ტრანზაქციების ხელახალი პროცესინგი.

კლიენტის მხარეს დაემატა ახალი ანგარიშგება, „უწყისის რეპორტი (დეტალ.დაკავ.)“ და „სსიპ/აიპ-ების შემოსავლების ჯამური რეპორტები“.

საერთო ანგარიშგებებს დაემატა ახალი ფილტრები და ბუღალტრული ანგარიშგებები. არსებულ ბუღალტრულ ანგარიშგებებს დაემატა ახალი საოპერაციო ანგარიშგებები: „სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში“, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“, „სსიპ/აიპ-ების შემოსავლების ჯამური რეპორტები“ და სხვა.

განხორციელდა ნორმატივების გადათვლის ოპტიმიზაცია და შემუშავდა მიზნობრივი გრანტების ახალი სერვისი.

შეიცვალა მოთხოვნების აღდგენისა და ვალუტის კურსების განახლების სერვისები. ოპერაციების „შემოსავლები - ადმინისტრატორი“ მართვის ლოგიკას დაემატა 28 და 30 ტიპის ოპერაცია.

განხორციელდა „ხელფასები“, „თანამშრომლები“, „საოპერაციო“ და „ცნობარები“ მოდულების ტექნიკური რეფაქტორინგი.

ჩატარდა „გადასახადების ერთიანი კოდის“ რეფორმის პირველი იტერაცია, რომელიც მოიცავს ახალი კლასიფიკატორების შექმნას, არსებულ კლასიფიკატორებში ცვლილებების შეტანას, კუბის სტრუქტურის ცვლილებას, მთავარი და ალტერნატიული მთავარი წიგნის, დამოუკიდებელი მოდულისა და ნაშთების მოდულის ცვლილებას.

განხორციელდა „გადასახადების ერთიანი კოდის“ რეფორმის მეორე და მესამე იტერაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: არსებული ხაზინის საინფორმაციო სერვისის ანალოგის შექმნა, შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სერვისების რეალიზაცია,

გადათვლილი დღეების მენეჯმენტი და შესაბამისი სტატუსების ასახვა ბექში, შემოსავლების სერვისის გამოძახების ხელით მართვის მოდულის შექმნა, „გადათვლილი ტრანზაქციების“, „შიდა რეესტრები (ოპერატიული)“ და „გადათვლილი ტრანზაქციები (იმიტირებული)“ ჩანართების შექმნა და მათზე საჭირო ლოგიკების ასახვა. აგრეთვე, ხელმისაწვდომი რესურსის გამოთვლის წესის ცვლილება, შემოსავლების ბუღალტრული პროცესინგი, „ზედმეტად გადახდილი გადასახადებისა“ და „დღგ-ს დაბრუნების“ ოპერაციების ცვლილება და აღნიშნული ოპერაციების დუბლიკატების შექმნა, შემოსავლების მოდულის ზოგიერთი არსებული ოპერაციების გაუქმება და ზოგიერთ ოპერაციაში ცვლილების შეტანა. ზოგიერთი არსებული მეთოდის გაუქმება ან ახალი უფლებების გააქტიურება.

შეიქმნა შემდეგი ახალი ანაგრიშგებები: „სარეზერვო ფონდის ანაგრიშგების ახალი ვერსია“, „შესრულება ღონისძიებების მიხედვით“, „E6 თვე“ და სხვა. ხაზინის პორტალზე არსებულ ანაგრიშგება „ავტონომიების და ადგილობრივებისთვის გადასაცემი ტრანსფერები“ შეიცვალა გენერირების ლოგიკა.

ცვლილება შევიდა მხარჯავების პორტალზე არსებულ „დეპოზიტების ოპერაციებსა“ და „სსიპ-ის თანხის დაბრუნების“ ოპერაციებში.

სისტემას დაემატა ნორმატიული აქტის თანდართული დოკუმენტის დათვალიერების შესაძლებლობა და პირდაპირ ჩარიცხვებზე ახალი დავალების შექმნის უფლება.

ცვლილება შევიდა „გარე სერვისსა“ და „შესყიდვების სააგენტოს სერვისში“. ცვლილება შეეხო მესამე პირის გადახდის პროცედურას.

2.3. eDMS – სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

აღმოიფხვრა სისტემის ახალი ვერსიის საშინაო ვალის მოდულის ხარვეზები მომხმარებლების მიერ მოწოდებული შენიშვნების გათვალისწინებით და მოხდა მონაცემების მიგრაცია.

შემუშავდა და დაინერგა მიზნობრივი გრანტის მოდული. ახლად რეგისტრირებული მიზნობრივი გრანტების და არსებულ მიზნობრივ გრანტებზე მონაცემების მიმოცვლა სისტემებს შორის უკვე ხორციელდება ახლად შემუშავებული მოდულიდან.

სამუშაო გარემოში განთავსდა ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიმოცვლის მოდული. ასევე, განხორციელდა სისტემის კონფიგურაცია ახლად დამატებული მოდულის სამუშაო რეჟიმში მოსაყვანად და მოხდა სისტემის ძველ ვერსიაში არსებული ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიგრაცია ახალ სისტემაში.

ეროვნული ბანკის მოდულში აღმოიფხვრა ხარვეზები, რის შედეგადაც სახელმწიფო ობლიგაციებზე (სესხი ეროვნული ბანკისთვის) მივიღეთ დეტალური და სრულყოფილი სურათი.

განხორციელდა საშინაო ვალის ყველა რეპორტის ვიზუალური სრულყოფა და გამოთვლების ოპტიმიზაცია.

პარალელურად ხორციელდება სისტემის ფრონტის მხარეს გამოყენებული Silverlight ტექნოლოგიის HTML-ით ჩანაცვლება, რომლის სამუშაო გარემოში განთავსება იგეგმება 2016 წლის I კვარტალში.

2.4. eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

გაუმჯობესდა და დაიხვეწა სისტემის ფუნქციონალი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი და სხვადასხვა ჩანართი.

სისტემას დაემატა სამუშაო აღწერილობებისა და წოდებების ამსახველი ფუნქციონალები და ახალი სტატუსი „კადრების განკარგულება“ და ახალი ფილტრი დახურული დანიშვნების სტატუსის მქონე პირთათვის. განახლდა ანგარიშგებების არსებული ფუნქციონალი.

შემუშავდა ლოგირების ფუნქციონალი და განხორციელდა რეფაქტორინგი, რამაც განაპირობა სისტემის მუშაობის აჩქარება და ცვლილებები დიზაინის კუთხით.

განხორციელდა დასწრების აღრიცხვის სხვადასხვა ტიპის ელექტრონული სისტემების ე.წ. „ტურნიკეტების“ სინქრონიზაციის პროცესი.

შეიცვალა თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების და სტატუსის შეჩერების საფუძვლების ფუნქციონალი. დაიხვეწა შეტყობინებების ფუნქციონალი (დაემატა ინფორმაცია პრაქტიკანტებისა და სტაჟორების ხელშეკრულების ვადის გასვლის შესახებ).

ოპტიმიზაცია განიცადა წოდებებისა და კადრების განკარგულების ვადების შეტყობინებებში ასახვის ფუნქციონალმა, გაიზარდა შეტყობინებების ასახვის პერიოდი.

დასწრების ტაბელში განხორციელდა კანონით დადგენილი დღესასწაულების (დასვენების დღეების) ასახვა, შეიცვალა ორგანიზაციის პირველი პირების დანიშვნა/გათავისუფლების ლოგიკა. დაიხვეწა თანამდებობაზე სტრუქტურული ქვედანაყოფის ცვლილების ლოგიკა და დაემატა ატვირთული ფაილების წაშლის ვალიდაცია.

განახლდა საშვების მართვის ფუნქციონალი, დაიხვეწა ადმინისტრატორის ჩანართი თანამშრომლის პირად ბარათზე.

სისტემას დაემატა ბრძანებების ამსახველი სვეტი, სამუშაო სფეროსა დაფინანსების წყაროს კლასიფიკატორები, ჯილდოების ასახვის ველი, შვებულების ბრძანების ამსახველი რეესტრი და დაიხვეწა სამუშაო გამოცდილების ნაწილის ჩანაწერის ლოგიკა. განახლდა მივლინების ფუნქციონალი.

სისტემას დაემატა მუნიციპალიტეტების ამსახველი კლასიფიკატორი და ტერიტორიული ერთეულების იერარქიული კავშირები ქვეყნის, რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ქალაქების მიხედვით. განხორციელდა სტატიკური ანგარიშგებების გაშვების თარიღების ლოგიკის ცვლილება, რაც გულისხმობს ანგარიშგებების მიღებას, როგორც კონკრეტული

თარიღის, ასევე მითითებული პერიოდის მიხედვით. დამატებით, თითოეულ ანგარიშგებაზე ხდება რეპორტის გაშვების თარიღისა და დროის დატანა.

სისტემა დანერგილია 75-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში.

3. სხვა ავტომატიზებული სისტემების შექმნა-განვითარება-დანერგვის სამუშაოები

3.1. eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

განხორციელდა სისტემის 8 მსხვილმასშტაბიანი განახლება.

დაწყებულ იქნა მუშაობა სისტემის Single Page Application (SPA) ვერსიაზე და განისაზღვრა მისი სატესტო გაშვების თარიღი.

სისტემა დაინერგა ცენტრალური და თვითმმართველი ერთეულების ხელისუფლების 40-ზე მეტ ორგანიზაციაში.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან ერთად, მხარდაჭერილია ინტერფლოუ საინტეგრაციო სერვისი, რომელშიც ჩაერთო 30-ზე მეტი ორგანიზაცია.

3.2. EIMS - გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა

ინაწილი - ტყის რესურსის მართვა

სახერხი საამქროს ელექტრონული ჟურნალი

შემუშავდა სახერხი საამქროების მართვის ახალი მექანიზმი **ელექტრონული ჟურნალი**, რაც გულისხმობს მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება - გადამუშავების პროცესის დეტალური ანგარიშის რეგისტრაციას და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის წარდგენას. სისტემა მეწარმე სუბიექტს საშუალებას აძლევს როგორც პერსონალური კომპიუტერიდან, ასევე ანდროიდ სისტემის პლანშეტიდან მართოს სახერხი საამქროში მიმდინარე პროცესები. სისტემა დაინერგა 600 (ექვსასი) მეწარმე სუბიექტთან, რომლებიც ახორციელებენ მორების მიღება-გადამუშავების პროცესებს. დამზადდა სახერხი საამქროს მართვის ვიდეოგაკვეთილები.

სისტემა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- მორების მიღება-აღრიცხვა
- მორების გადამუშავება
- გადაუმუშავებელი მორის გატანა
- მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაცია გაკონტროლდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ.

257 სახერხმა საამქრომ განახორციელა მორების მიღება-გადამუშავების პროცესი.

სახერხი საამქროს რეგისტრაცია.

შემუშავდა გადამუშავებული მორების ჩამოწერის პროცესი.

სახერხი საამქროს ჟურნალის ანგარიშგება ანდროიდის ოპერაციული სისტემებისთვის

შემუშავდა და განხორციელდა მორების მიღება გადამუშავების შედეგად დარჩენილი არსებული ნაშთების ანგარიშგება. ანგარიშგება მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მრგავლი მორის გადამუშავების, გადაუმუშავების თუ სახერხი საამქროდან გატანის შესახებ.

მერქნული რესურსის ანგარიშგება

შემუშავდა და განხორციელდა მერქნული რესურსის ანგარიშგების მექანიზმი, რაც გულისხმობს გამოყოფილი, გახარჯული და დარჩენილი რესურსის შესახებ ინფორმაციას. ანგარიშგების საშუალებით მიიღება ინფორმაცია თითოეული უწყების, სამსახურის თუ სატყეო უბნის მიხედვით.

მოდულები:

- ტყეკაფებში აღრიცხული მერქნული რესურსი;
- ტყეკაფებში ასათვისებელი მერქნული რესურსის ნაშთი;
- ტყეკაფებში ბილეთებით გასაცემი მერქნული რესურსის ნაშთი;
- ტყეკაფებიდან გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები;
- სოციალური ჭრის მიზნის ტყეკაფების ნაშთების ანგარიშგება.

ტყის რესურსის ანგარიშგება ანდროიდ სისტემის მოწყობილობებისთვის

შემუშავდა და განხორციელდა მერქნული რესურსის ანგარიშგების სისტემის ანდროიდ მოწყობილობებისთვის ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემაში არსებული ყველა ანგარიშის მოდულის ნახვას უკვე ანდროიდ სისტემის პლანშეტური კომპიუტერებისთვის.

ანგარიშგება მოიცავს 12 (თორმეტი) სხვადასხვა მოდულს.

ელექტრონული შეტყობინებები

შემუშავდა და განხორციელდა მეწარმე სუბიექტებისთვის ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნის ფუნქციონალი, რომელიც ადაპტირებულია ანდროიდ სისტემებისთვის.

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი

შემუშავდა და განხორციელდა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის დეტალების (ფირნიშების) ავტომატური კალკულაციის მეთოდის გამოყენება.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა

შემუშავდა და განხორციელდა ნებართვის ახალი მექანიზმი, რომელიც მოიცავს ერთი ნებართვის ფარგლებში სხვადასხვა სახეობების ექსპორტს და სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის სერვისით მიწოდებას, რომლის საშუალებითაც მოხდება ნაშთების შესახებ ინფორმაციის მიღება.

II ნაწილი - ატმოსფერული ჰაერის გაფრქვევის მართვა

საწარმოების ობიექტებად რეგისტრაცია

ატმოსფერული ჰაერის გაფრქვევის ანგარიშის წარმოდგენის სისტემის ფარგლებში, განხორციელდა საწარმო ობიექტების რეგისტრაცია ელექტრონულად, რაც მოიცავს მეწარმე სუბიექტის მიერ მისი ობიექტის დარეგისტრირებას სისტემაში, გაგზავნას ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურში და შეთანხმებას ან რაიმე ხარვეზის შემთხვევაში დაწინებებს.

დარეგისტრირდა 2000 ზე მეტი ობიექტი.

ატმოსფერული ჰაერის ანგარიშგება

განხორციელდა ანგარიშგების ელექტრონული წარდგენა. მეწარმე სუბიექტს საშუალება აქვს ელექტრონულად შეავსოს ანგარიშგების ფორმა, გადაგზავნოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურში დასადასტურებლად. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურს იგივე სისტემის ფარგლებში საშუალება აქვს შეითანხმოს ან დაახარვეზოს ანგარიშგება. დაახარვეზების შემთხვევაში მეწარმეს აქვს საშუალება გაიგოს დაახარვეზების მიზეზი, შეასწოროს ანგარიშგება და ხელახლა წარადგინოს ის.

გარემოს ზემოქმედების ნებართვების რეგისტრაცია

განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რეგისტრაციის ელექტრონული აღრიცხვა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების სამსახურს საშუალება აქვს სისტემის ფარგლებში დარეგისტრირებულ ობიექტს, თან დაურთოს მასზე გაცემული გარემოს ზემოქმედების ნებართვა, რაც გულისხმობს ელექტრონულ კავშირს ობიექტსა და ნებართვას შორის.

3.3. eGMC - საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის, მუზეუმებში მიმდინარე პროცესების სისტემატიზაციის შესახებ, რის შედეგადაც ერთ-ერთი მიმართულებაა ცენტრალიზებული ერთიანი სისტემის შექმნა. პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა ბიზნეს პროცესების კვლევა და შემუშავდა სისტემის ხედვის დოკუმენტი. ხედვის დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ სამუშაო ჯგუფმა ჩატარა დეტალური კვლევა მოძრავი ექსპონატების რეგისტრაციის თუ დამუშავების პროცესის ავტომატიზაციისთვის, რის საფუძველზეც შემუშავდა საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალური სპეციფიკაცია. ფუნქციონალური სპეციფიკაცია დამტკიცდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

ფუნქციონალურ სპეციფიკაციაში განისაზღვრა შემდეგი სისტემები:

1. საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა;
2. მომხმარებლებისა და უფლებების მართვის ელექტრონული სისტემა.

ფუნქციონალურ სპეციფიკაციაში განისაზღვრა შემდეგი მოდულები:

1. სისტემის ადმინისტრირება;
2. ექსპონატის პასპორტის რეგისტრაცია;
3. უფლებების განსაზღვრა.

პროგრამული არქიტექტურა

დაიგეგმა და განხორციელდა სისტემის პროგრამული არქიტექტურა, მიმდინარეობს პროგრამული კოდის წერა.

3.4. eVMS - ვიზიტორთა მართვის ელექტრონული სისტემა

შემუშავდა სისტემის ადმინისტრირების მოდულის გამარტივებული მენუს ფუნქციონალი.

სისტემის პრეზენტაცია ჩატარდა ორ ორგანიზაციას:

1. სახელმწიფო კანცელარია
2. ქალაქ ქუთაისის მერია.

3.5. eAuction - ელექტრონული აუქციონი

დასრულებულია მუშაობა და რეალურ გარემოშია ონლაინ-კონსულტაციის ფუნქციონალის მეორე ვერსია.

შეიცვალა ფიზიკური რეზიდენტი პირის რეგისტრაციის ფორმა და სამოქალაქო რეესტრის რეზიდენტი ფიზიკური პირის გადამოწმების სერვისი.

ვებპორტალს დაემატა „შეიძინეთ ახლავე“ (BuyItNow) ფუნქციონალი.

მობილური აპლიკაციის (IOS პლატფორმა) მეორე ვერსიაში განახლდა ფიზიკური რეზიდენტი პირის რეგისტრაციის ფორმის და სამოქალაქო რეესტრის სერვისის გამოყენების კომპონენტები. სატესტო აპლიკაციას დაემატა BuyItNow ფუნქციონალი.

დასრულდა ლიბერთი ბანკის eMoney სერვისის ინტეგრაციის განახლების სამუშაოები.

ჩატარდა საიტზე გამოკითხვის ოპტიმიზაცია - შესაძლებელი გახდა რამოდენიმე გამოკითხვის ერთად გამოტანა საიტზე.

შემუშავდა ანგარიშგებების ფუნქციონალი.

რეალურ გარემოში ფუნქციონირებს გადახდის ოპერაციების (CUT, Unblock) შეზღუდვა სადავო აუქციონებზე.

სისტემის ტექნიკური ოპტიმიზაციის ფარგლებში, დასრულდა ახალი ტექნოლოგიის შესწავლა (Angular), მოხდა ლოტის რეგისტრაციის ფუნქციონალის გადაწერა Angular ტექნოლოგიაზე.

მიმდინარეობს ელექტრონული საბანკო გარანტიის სერვისის ოპტიმიზაცია (შესაძლებლობა რეზიდენტი იურიდიული პირების ლოტებზე ელექტრონული საბანკო გარანტიის შესაძლებლობა).

დასრულდა ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურების ტარიფების ადმინისტრირების გვერდი.

შეიქმნა ახალი ტიპის ანგარიშგების ფორმა „ლოტის ცვლილებების ისტორია“.

დასრულდა სისტემის რეფრაქტორინგის შემდეგი ტექნიკური ოპტიმიზაციის სამუშაოები:

1. Microsoft ტექნოლოგიის (MVC) განახლება 3.0-დან 5.1 ვერსიაზე.
2. ადმინისტრირების ნაწილის კლასიფიკატორის ინსტრუმენტის ოპტიმიზაცია.
3. SQL პროცედურების ოპტიმიზაცია.

სისტემას დაემატა გადახდების გვერდზე უნაღლო ანგარიშწორების შესახებ ინფორმაცია, გაყიდვის ტიპი „საჯარო აუქციონი“ ანგარიშგების სისტემის აუქციონების შედეგების ფორმაში, ხოლო ელექტრონული საბანკო გარანტიების შემთხვევაში, სისტემაში უკვე ხორციელდება ავტომატური განხილვის ოპერაციების დავალებების შექმნა.

ლოტის გვერდზე ამობეჭდვის ფორმას ჩაუტარდა ოპტიმიზაცია, ასევე ლოტების ადმინისტრირების გვერდიდან შესაძლებელი გახდა აუქციონის ნომრით „დადასტურებული ლოტების“ საიტზე ერთდროულად გამოქვეყნება (სატესტო გარემო).

კლიენტებისთვის და ლოტის განმკარგავი ორგანიზაციებისთვის შემუშავდა მოკლე ტექსტური შეტყობინებებითა და ელექტრონული ფოსტით შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნი ფუნქციონალი (სატესტო გარემო).

საიტზე ლოტების სიას დაემატა საწყის პოზიციაზე დაბრუნების ღილაკი. ელექტრონული გადახდების სტატუსების გადამოწმების მიზნით, შეიქმნა ავტომატური დავალება, რომელიც უზრუნველყოფს გადახდების დროულ გატარებას/აქტივაციას და ბანკის მხარეს არსებული რეალური სტატუსის მიღებას (სატესტო გარემო).

ხაზინის ანგარიშზე გადასარიცხი მომსახურების თანხების შემთხვევაში შესრულდა დავალება, რომელიც უზრუნველყოფს დღის 16:00 საათამდე ჩარიცხული თანხების იმავე დღეს გადარიცხვას, ხოლო 16:00 საათის შემდეგ განხორციელებულ გადახდების გადარიცხვას შემდეგი საბანკო დღიდან.

სისტემის ადმინისტრირების მხარეს შეიქმნა იურიდიული და ფიზიკური პირების მომსახურების ტარიფების რედაქტირების ფორმა და ოპტიმიზაცია ჩაუტარდა სადავო აუქციონების შემთხვევაში გადახდების შეზღუდვის გვერდს.

3.6. ATMS - ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დავალებების მართვის სისტემა

სისტემა უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემავალი სამმართველოების შესასრულებელი და შესრულებული დავალებების აღრიცხვასა და კონტროლს. ამჟამად, სისტემაში რეგისტრირებულია 35 მომხმარებელი და აღრიცხულია 509 დავალება.

3.7. eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა

სისტემის მომხმარებლების შენიშვნების საფუძველზე განახლდა სისტემა ფუნქციონალი. სხვადასხვა ფორმაში ჩაიდო ვალიდაციები შეცდომების თავიდან აცილების მიზნით. განახლდა არსებული რეპორტები დინამიურობის კუთხით. შეიქმნა და დაინერგა BI რეპორტიინგი, რაც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევთ Microsoft Excel-ის ფაილით დაუკავშირდნენ რეპორტიინგის ბაზას სასურველი ანგარიშების გენერირებისთვის (self-service BI). ამჟამად, სისტემაში რეგისტრირებული 1071 პროექტი და 56 მომხმარებელი.

4. პორტალები, ვებგვერდები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი - <http://mof.ge>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი - <http://mfa.gov.ge>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საელჩოების ვებგვერდები

მიმდინარეობს საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიპლომატიური მისიების ვებგვერდების მართვის ერთიანი სისტემის (CMS) შექმნა.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ახალი ვებგვერდი

შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ახალი ვებგვერდის დიზაინი. მიმდინარეობს ვებგვერდის აწყობა ვებძრავზე.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდი - www.iec.gov.ge

განათლების საერთაშორისო ცენტრის აპლიკაციაში შევიდა ცვლილებები. დაფინანსებულ აპლიკანტებს საშუალება მიეცათ აპლიკაციის გამოყენებით მოითხოვონ სწავლის მეორე წლის დაფინანსება. განაცხადების მიღება გრძელდებოდა 20 მარტიდან 15 მაისამდე. ამ

პერიოდში აპლიკანტების ტექნიკური მხარდაჭერას ელ.-ფოსტის საშუალებით ახორციელებდა საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ვებ-რესურსების მართვის დეპარტამენტი. შეიქმნა ონლაინ კითხვარი, რომლის მიზანია სტატისტიკის წარმოება საჯარო სამსახურებისათვის, რათა მათ ზუსტად იცოდნენ უცხოეთში სწავლის დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა მიმართულებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. განახლდა განაცხადების მართვის სისტემის ადმინისტრირების პანელი. სისტემის ფარგლებში შეიქმნა ახალი აპლიკაციები შემდეგ პროგრამებზე რეგისტრაციისათვის: მედია ტრენინგი, ელჩების პროგრამა, სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში.

eIRS სტაჟიორთა ვებგვერდი და რეგისტრაციის სისტემა საჯარო სამსახურის ბიუროსთვის - <http://stajireba.gov.ge/>, <https://app.stajireba.gov.ge/admin>, <https://app.stajireba.gov.ge/org>

სტაჟიორთა რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში შევიდა ცვლილებები. ადმინისტრირების პანელს დაემატა სხვადასხვა ტიპის რეპორტებისა და სტატისტიკური ინფორმაციის მიღების საშუალება. განახლდა ორგანიზაციების ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც სტაჟირების ვაკანსიების მომწოდებელი ორგანიზაციები აფიქსირებენ სტაჟიორების სტაჟირების ადგილზე გამოცხადებას და სტაჟირების შედეგს, ასევე ორგანიზაციებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში ამოიჭდონ სერტიფიკატები წარმატებული სტაჟიორებისათვის. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ვაკანსიებზე 2015 წელს გაზაფხულის და შემოდგომის ნაკადებში დარეგისტრირდა 1500-ზე მეტი სტაჟიორი.

საქართველოს პრეზიდენტის ახალი ვებგვერდი - <http://dev.mof.ge/President>

შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი. მოხდა ვებგვერდის ხელახლა აწყობა ახალ ვებძრავზე. ვებგვერდის დიზაინში შევიდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ცვლილებები. აიტვირთა კონტენტი. შეიქმნა ჟურნალისტთა აკრედიტაციის ონლაინ აპლიკაცია.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდი - <http://eiec.gov.ge/>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ახალი ვებგვერდი. ვებგვერდზე ინტეგრირებულია გარემოსდაცვით თემებზე მომუშავე ორგანიზაციების და მათი აქტივობების ამსახველი აპლიკაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული ცნობარი და გარემოს ზემოქმედების ნებართვების სისტემა (ვებრუკა).

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა

შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის დიზაინი.

კულტურის სამინისტროს ახალი ვებგვერდი - <http://culture.gov.ge/>

შეიქმნა და ვებ სივრცეში განთავსდა კულტურის სამინისტროს ახალი ვებგვერდი.

კულტურის სამინისტროს კორპორატიული ვებგვერდი - <http://my.culture.gov.ge>

შეიქმნა კულტურის სამინისტროს კორპორატიული ვებგვერდი. წვდომა შესაძლებელია მხოლოდ კულტურის სამინისტროს ლოკალური ქსელიდან.

კულტურის პოლიტიკის ვებგვერდი - <http://culturepolicy.ge/>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა კულტურის პოლიტიკის ვებგვერდი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) თბილისის ბიზნესფორუმის ვებგვერდი - <https://tbilisi-ebd.gov.ge/>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიური შეხვედრისა და თბილისის ბიზნესფორუმის ვებგვერდი.

Microsoft-ის ლიცენზიების პორტალი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის - <http://license.gov.ge/>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა Microsoft-ის ლიცენზიების პორტალი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის. მსხვილი საბიუჯეტო ორგანიზაციები პორტალზე არეგისტრირებენ Microsoft-ის სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფის ლიცენზიებზე მოთხოვნების რაოდენობას და საკონტაქტო ინფორმაციას თითოეული ორგანიზაციისათვის. ადმინისტრირების პანელიდან ფიქსირდება კვოტები თითოეული ორგანიზაციისათვის და გაცემული ლიცენზიების რაოდენობები. აქედანვე ხორციელდება მომხმარებელთა მართვაც.

ბიზნეს პროცესების საინფორმაციო პორტალი - <http://bpip.mfg.ge/>, <http://bpip.mfg.ge/Admin>

შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს ბიზნეს პროცესების საინფორმაციო პორტალის (BPIP) და მისი ადმინისტრირების პანელის სატესტო ვერსიები. BPIP წარმოადგენს შიდა კორპორატიულ ვებგვერდს, რომლის საშუალებითაც პორტალის ადმინისტრატორები შეძლებენ სამინისტროში არსებული ბიზნეს პროცესების შესახებ ინფორმაციის განთავსებას. სისტემის ამუშავების შემდეგ პორტალი ხელმისაწვდომი იქნება ცენტრალური აპარატის ყველა თანამშრომლისათვის.

ჰარმონიზაციის ცენტრის ვებგვერდი - <http://dev.mof.ge/ia.ge/>

ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მოწოდებული დიზაინის მიხედვით განხორციელდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებპრაქტიკაზე.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემა - eSMS <http://esms.fas.ge/>

შეიქმნა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემა (eSMS). მისი საშუალებით შესაძლებელია მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) გაგზავნა სისტემაში რეგისტრირებულ ადრესატებსა და ჯგუფებზე. სისტემაში რეგისტრირებულია კულტურის სამინისტროს და საჯარო სამსახურის ბიუროს მომხმარებლები.

პროფესიონალური განვითარების ცენტრის ახალი ვებგვერდი

შეიქმნა მთავარი და შიდა გვერდების დიზაინი პროფესიონალური განვითარების ცენტრის ახალი ვებგვერდისთვის.

საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის ვებგვერდი <http://opera.ge/>

შეიქმნა და ვებსივრცეში განთავსდა საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის ვებგვერდი.

ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის ვებგვერდი <http://natopdp.ge/>

შეიქმნა და ვებ სივრცეში განთავსდა ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის ვებგვერდი. ვებგვერდზე ინტეგრირებულია სასწავლო კურსების მართვის აპლიკაცია.

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი <http://dev.mof.ge/Service>

შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი. მოხდა ვებგვერდის აწყობა ვებძრავზე. მიმდინარეობს კონტენტის ატვირთვა.

გარდა ზემოთ მოცემული პროექტებისა, ვებ-რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სხვა დეპარტამენტების პროექტებში დიზაინის შემუშავებაში და HTML მარკირების შექმნაში:

eDoc დიზაინი, მარკირება

eDMS დიზაინი

<http://emoe.gov.ge/> <http://ms.emoe.gov.ge> დიზაინი, მარკირება

eAuction დიზაინი, მარკირება

eGMC დიზაინი

eVMS დიზაინი, მარკირება

5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

მიმდინარეობდა მის-ის მუდმივი მონიტორინგი ქვეყანაში IT სფეროში მნიშვნელოვანი ამბებისა და სიახლეების გამოვლენის მიზნით.

მომზადდა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჟურნალში „ზეტი“ დაიბეჭდა სარეკლამო გვერდი და სტატია სამსახურის შექმნისა და საქმიანობის ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

სამსახურის თანამშრომლებისთვის გაიმართა კორპორატიული გასართობ-სპორტული ღონისძიება სამსახურის შექმნის ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მომზადდა და გამოიცა სამსახურის საქმიანობის ამსახველი ბუკლეტის - „ინოვაციური გადაწყვეტილებები სახელმწიფოს სამსახურში“ ახალი ვერსია.

მომზადდა და გამოიცა სამსახურის ორი პროდუქტის - „საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა“ და „ადამიანური რესურსების ავტომატიზებული სისტემა“ განახლებული ვერსიები.

დამზადდა სამსახურისა და მისი პროდუქტების სარეკლამო ბანერები (3 ცალი).

სამსახურმა, ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავისუფლების დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც საზოგადოებას გააცნო თავისი საქმიანობა და პროდუქტები.

მომზადდა და ფინანსთა სამინისტროსა და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საიტებზე განთავსდა ინფორმაცია კორპორაცია „მაიკროსოფტი“-სა და სამსახურის წარმატებული თანამშრომლობის შესახებ.

სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 5-7 ოქტომბერს, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, PEMPAL-ის პროგრამის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით გამართულ საერთაშორისო სემინარში, თემაზე: „სახელმწიფო ფინანსების მართვის ინფორმაციული სისტემების დანერგვა“ და გამართა პრეზენტაციები.

ინფორმაცია PEMPAL-ის პროგრამის ფარგლებში გამართული საერთაშორისო სემინარის შესახებ გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროსა და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კორპორატიულ ვებგვერდებზე.

სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 19-20 ნოემბერს, თბილისში, სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“-ში გამართულ, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების მე-8 საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც წარადგინა პრეზენტაცია - ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები (eCloud).

6. ინფორმაციული უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა

დაინერგა Microsoft System Center კომპონენტები - Configuration Manager, Operations Manager, Service Manager. განხორციელდა ორკესტრატორის ინტეგრაცია. მოხდა ცვლილებების მართვის პროცესის დანერგვა და ITIL სტანდარტებთან მისადაგება. გაიზარდა მონაცემთა შენახვის სისტემის წარმადობა და მოცულობა (40 ტერაბაიტით).

განახლდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობები (Nexus 7000), 20 წუთიდან 5 წუთამდე შემცირდა მონაცემთა ცენტრებს შორის გადართვის დრო. დაინერგა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა და შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების აქტივების პროფილირების მეთოდოლოგია.

7. სწავლება და კონსულტაციები

2015 წლის 12 თვის განმავლობაში სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 105 ორგანიზაცია, 6673 მომხმარებელი; მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის 68 ორგანო, 4854 მომხმარებელი.

სახელწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury - 1205 მომხმარებელი

ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) – 30 ორგანიზაცია, 106 მომხმარებელი.

საერთაშორისო დახმარების მართვის სისტემა (eAIMS) - 75 მომხმარებელი.

სულ - 8059 მომხმარებელი

ცხელი ხაზი 1551-ით სარგებლობა:

მიღებულია 42100 მომართვა სხვადასხვა მომსახურებაზე.

გაწეულია 38062 სატელეფონო ან ონლაინ კონსულტაცია, მ.შ.: eDocument – 18911 კონსულტაცია; eTreasury - 16217 კონსულტაცია; სხვა სისტემები - 2934 კონსულტაცია.

ტექნიკური მხარდაჭერა:

სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა 4038 ტექნიკური გამოძახების შესრულება და შესაბამისი მომსახურების გაწევა.

8. ადამიანური რესურსების განვითარება

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა საჯაროდ გამოაცხადა (hr.gov.ge) კონკურსი 14 ვაკანსიაზე. გამოცხადებულ კონკურსებში განცხადება შემოიტანა სულ 351 კანდიდატმა, აქედან კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 22 კანდიდატი, ხოლო

სამტატო თანამდებობებზე დაინიშნა 10 პირი. შტატგარეშედ გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 57 კანდიდატი, დაინიშნა 15 პირი.

სამსახურში სტაჟირებას გადიოდა 2 პირი

სამსახურში პრაქტიკას გადიოდა 1 პირი.

ჩატარდა თანამშრომლების შიდა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც მოიცავდა არაფინანსურ მოტივაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოკითხვის შედეგები შეჯამდა და პრეზენტაციის სახით წარედგინა სამსახურის ხელმძღვანელობას. შედეგად, გაფორმდა ხელშეკრულება ახალ სადაზღვევო კომპანიასთან.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც გამოიყენება კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრების დროს.

ჩამოყალიბდა სამუშაოს აღწერილობის ახალი მეთოდოლოგიური მოდელი, რომლის მიხედვით მიმდინარეობს სამსახურის თითოეულ პოზიციაზე სამუშაოს აღწერილობის შედგენა.

ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის კითხვარში მონაწილეობა მიიღო სამსახურის 89 თანამშრომელმა. შესაბამისად, შემუშავდა 2014-2015 წლების სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ზოგადი სახის 23 ტრენინგს და 56 სპეციალიზებულ ტრენინგს IT სფეროში.

მუშაობის პროცესშია თანამშრომლის სახელმძღვანელო, რომლის დასრულებისთანავე მოხდება თანამშრომლების ინფორმირება.

სამსახურის თანამშრომლებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგურსებში და სემინარებში: ადამიანური რესურსების მართვა, ელექტრონული მთავრობის სერვისები, მონაცემთა და დოკუმენტების ელექტრონული და ციფრული არქივირების საკითხები, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა, ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურეობა და სხვა.